არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირი

„მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“

წესდება

2022

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“ (შემდგომში: ა(ა)იპ ან ა(ა)იპ „მმათ“) დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1.2. ა(ა)იპ „მმათ” არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია და მისი არსებობა დამოუკიდებელია მისი წევრებისგან.

1.3. ა(ა)იპ „მმათ“-ის დამფუძნებელია:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი მესტიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში: „მუნიციპალიტეტი“) (მის: დ. მესტია, სეტის მოედანი #1, საიდ. ნომერი: 235895046, რეგისტ. თარიღი: 30.10.2014, წარმომადგენელი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი, დაბ. თარიღი: 11.01.1977წ, პირადი #30001001000, პასპორტის გაცემის თარიღი: 20.03.2015, მოქმედების ვადა: 20.03.2025, გამცემი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო);

1.4. ა(ა)იპ „მმათ“-ის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“.

1.5. ა(ა)იპ „მმათ“-ის სახელწოდების ინგლისური ტრანსლიტერაციაა „Mestia Municipality Youth Self-government“.

1.6. ა(ა)იპ „მმათ“ ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით, ამ წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

1.7. ა(ა)იპ „მმათ“ ანგარიშვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში: „მუნიციპალიტეტის მერი“) წინაშე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე და ამ წესდებით დადგენილი წესით. მუნიციპალიტეტის მერი არის ა(ა)იპ-ის უშუალო ზედამხედველი.

1.8. ა(ა)იპ „მმათ“ საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით.

1.9. ა(ა)იპ „მმათ“-ს აქვს ბალანსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სახაზინო ანგარიში, ლოგო, ბეჭდები, შტამპები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.10. ა(ა)იპ „მმათ“-ის ფინანსური ინფორმაცია საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

1.11. ა(ა)იპ „მმათ“-ის იურიდიული მისამართი: მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტია, სეტის მოედანი #1.

1.12. ა(ა)იპ „მმათ“-ის ოფიციალური ელ-ფოსტა: mestiayouth@gmail.com

1.13. ა(ა)იპ „მმათ“ დაფუძნდა განუსაზღვრელი ვადით.

1.14. ა(ა)იპ „მმათ“ მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.15. ა(ა)იპ „მმათ“ თავის იურიდიულ უფლებებს შეიძენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ.

1.16. ა(ა)იპ „მმათ“ პასუხს არ აგებს თავისი წევრების, წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ვალდებულებებზე, ხოლო წევრები ა(ა)იპ „მმათ“-ის ვალდებულებებზე.

1.17. ა(ა)იპ „მმათ“ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებთან და უწყებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის სხვა ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, გაერთიანებებთან, ასოციაციებთან, ფედერაციებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, კლუბებთან და საინიციატივო ჯგუფებთან. ა(ა)იპ-ი თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუციებთან.

მუხლი 2

ა(ა)იპ „მმათ“-ის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2.1 ა(ა)იპ „მმათ“ დაფუძნდა შემდეგი მიზნების მისაღწევად და შემდეგ მიმართულებებზე სამუშაოდ:

2.1.1. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და მათზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება/ადვოკატირება.

2.1.2. მესტიის ახალგაზრდული სტრატეგიის განვითარება და აღსრულება.

2.1.3. მესტიის მუნიციპალიტეტში ჰარმონიული გარემოს და პოზიტიური სტიმულების შექმნა ახალგაზრდების განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

2.1.4. მესტიის მუნიციპალიტეტის მკვიდრ ახალგაზრდებში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებისა და ღირებულებების გაძლიერება.

2.1.5. მესტიის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ახალგაზრდების დაინტერესება ადგილობრივ განვითარებაში მონაწილეობით და მათი მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.

2.1.6. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობების შექმნა, რომელიც უბიძგებს მათ გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი სრულად და გამოიყენონ ადგილობრივი განვითარებისთვის.

2.1.7. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მათი აქტიურ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

2.1.8. ახალგაზრდებში ნარკომანიის და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა.

2.1.9. ახალგაზრდებში ხარისხიანი ფორმალური, შემოქმედებითი და სამხატვრო განათლების მიღების ხელშეწყობა.

2.1.10. ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და მუნიციპალიტეტში კულტურული გარემოს სტიმულირებას.

2.1.11. მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ინოვაციებზე ფოკუსირებით განვითარების შესაძლებლობების შექმნა.

2.1.12. მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდების ჩამოყალიბების მხარდაჭერა.

2.1.13. მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობა.

2.1.14. მესტიის მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების, კარგი მმართველობის, მეწარმეობის, განათლების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების, ინოვაციების, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის მიმართულებებით განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივებისა და პროექტების განხორციელება და მხარდაჭერა.

2.1.15. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3

ა(ა)იპ „მმათ“-ის წევრობა

3.1. ა(ა)იპ-ის თავდაპირველი და მუდმივი წევრები არიან მისი დამფუძნებლები. ა(ა)იპ „მმათ“-ში წევრების მიღება მოხდება ახალგაზრდული საბჭოს ერთი მესამედის ან ა(ა)იპ-ის დირექტორის (შემდგომში: „დირექტორი“) წარდგინებითა და ა(ა)იპ-ის უშუალო ზედამხედველის - მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით. ა(ა)იპ-ის წევრი შესაძლოა იყოს კერძო და საჯარო სექტორის ნებისმიერი წარმომადგენელი, სრულწლოვანი ფიზიკური პირი და იურიდიული პირი, რომელიც დაინტერესებულია მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარების ხელშეწყობით, იზიარებს ა(ა)იპ-ის მიზნებს და აქვს საკუთარი ფინანსური თუ ინტელექტუალური რესურსის გაზიარების გზით ა(ა)იპ-ის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისა და ა(ა)იპ-ის მიზნების განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი.

3.2. ა(ა)იპ „მმათ“-ის წევრს შეუძლია ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვოს ა(ა)იპ. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს ახალგაზრდული საბჭოსთვის. ახალგაზრდული საბჭო ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მოახდენს მუნიციპალიტეტის მერის ინფორმირებას. წევრის ა(ა)იპ-დან გასვლის საკითხთან ერთად, დირექტორი, ა(ა)იპ-ის წევრებთან ერთად განიხილავს წევრის გასვლის შემდეგ პროექტის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ქმედებებისა და აღნიშნულ წევრთან გაფორმებელი ხელშეკრულებების/შეთანხმებების საკითხს და გადაწყვეტილებას ათანხმებს მუნიციპალიტეტის მერთან.

3.3. ა(ა)იპ-ის წევრობა შესაძლებელია ასევე შეწყდეს გარდაცვალებით, წევრობის საფასურის გადაუხდელობის შედეგად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან წევრის ქმედუუნარობის/იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

3.4. წევრი შესაძლოა გარიცხულ იქნას ა(ა)იპ-დან ახალგაზრდული საბჭოს გადაწყვეტილებით (50% +1). ასეთ გადაწყვეტილებას ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭო იღებს ხმათა უმრავლესობით, გასარიცხი წევრის/წევრების მონაწილეობის გარეშე რიგგარეშე თუ რიგით შეხვედრაზე. ასეთ დროს, გადაწყვეტილების მისაღებად, საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს წევრთა 70%. ა(ა)იპ-დან წევრის გარიცხვის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი:

- საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევა;
- ა(ა)იპ-ის წესდების უხეში დარღვევა;

- ა(ა)იპ-ის ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- არასათანადო ან/და უკანონო ქმედებები ა(ა)იპ-ის ან მისი გარკვეული წევრების წინააღმდეგ;
- ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს ა(ა)იპ-ის რეპუტაციას და ლახავს მის ინტერესებს;
- სხვა ობიექტური გარემოებები.

მუხლი 4

ა(ა)იპ „მმათ“-ის წევრების უფლებები და ვალდებულებები

4.1. ა(ა)იპ-ის წევრებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები:

4.1.1. მოამზადოს და წარადგინოს წინადადებები/შეთავაზებები/პროექტები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს ა(ა)იპ-ის საქმიანობის სფეროს.

4.1.2. ფლობდეს ინფორმაციას ა(ა)იპ-ის საქმიანობის შესახებ.

4.1.3. ა(ა)იპ-ის მიზნების მისაღწევად საქმიანობისას გამოიყენოს ა(ა)იპ-ის ინტელექტუალური და ლოგისტიკური აქტივები, მატერიალური და არამატერიალური საკუთრება წინამდებარე წესდებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4.1.4. ფლობდეს სრულ ინფორმაციას ა(ა)იპ-ის ფინანსურ სახსრებზე.

4.1.5. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის პროექტებში.

4.1.6. ნებაყოფლობით დატოვოს ა(ა)იპ-ი.

4.2. ა(ა)იპ-ის წევრი ვალდებულია:

4.2.1. დაემორჩილოს წინამდებარე წესდების მოთხოვნებს და ა(ა)იპ-ის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

4.2.2. ელ-ფოსტით აცნობოს ა(ა)იპ-ის დირექტორს წარმოებისა თუ გარემოების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ა(ა)იპ-ის საქმიანობაზე.

4.2.3. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს ა(ა)იპ-ის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 5

ა(ა)იპ-ის მმართველი ორგანოები

5.1. ა(ა)იპ-ის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა **ახალგაზრდული საბჭო,** რომელიც შედგება ა(ა)იპ-ის წევრებიდან შერჩეული წევრებისგან. საბჭო შედგება შვიდი (7) წევრისგან. ახალგაზრდული საბჭოს წევრები აირჩევიან 3 (სამი) წლის ვადით შემდეგში კვლავ არჩევის უფლებით. ახალგაზრდული საბჭოს წევრი ავტომატურად კარგავს საბჭოს წევრობის სტატუსს თუ მას შეუწყდება ა(ა)იპ-ის წევრობა. ახალგაზრდული საბჭო და დირექტორი ვალდებულნი არიან ახალგაზრდული

საბჭოს წევრის სტატუსის დაკარგვიდან 3 თვის ვადაში წარადგინონ ახალგაზრდული საბჭოს ახალი წევრი დადგენილი წესით.

5.2. **მუნიციპალიტეტის მერი** არის ა(ა)იპ „მმათ“-ის უშუალო ზედამხედველი. მუნიციპალიტეტის მერი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებებს იღებს ა(ა)იპ-ის დაფუძნების, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერი პირველი ვადით ირჩევს ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭოს შემადგენლობას. მუნიციპალიტეტის მერი პირველი ვადით ირჩევს ა(ა)იპ-ის დირექტორს.

5.3. **დირექტორი** წარმართავს ა(ა)იპ-ის საქმიანობას და წარმოადგენს ა(ა)იპ-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში. პირველი ვადით ა(ა)იპ-ის დირექტორი შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2 (ორი) წლის ვადით. შემდეგში დირექტორი აირჩევა ახალგაზრდული საბჭოს მიერ დადგენილი კონკურსის წესით და კანდიდატურა/კანდიდატურები წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად. დირექტორის პოზიციაზე ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ზედიზედ აირჩეს ორი ვადით. დირექტორი ა(ა)იპ-ის მიერ დასაქმებული თანამშრომელია, რომელიც ანგარიშვალდებულია ახალგაზრდული საბჭოს და მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. დირექტორი ემსახურება ა(ა)იპ-ის ინტერესებს და აირჩევა ობიექტური კონკურსის საფუძველზე, რომელსაც წარმართავს ახალგაზრდული საბჭო მის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად. დირექტორმა ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს ახალგაზრდული საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, მათ შორის: უზრუნველყოს ა(ა)იპ-ის სტრატეგიული გეგმების, წლიური სამოქმედო გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების შემუშავება და განხორციელება, ასევე აღნიშნული სტრატეგიებისა და გეგმების ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ყოველდღიური აქტივობების მართვა.

მუხლი 6

ა(ა)იპ „მმათ“-ის ახალგაზრდული საბჭოს უფლებამოსილება

6.1. ახალგაზრდულ საბჭოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

6.1.1. განახორციელოს წინამდებარე წესდებაში დამატებებისა და ცვლილებების ინიცირება დაწარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს.

6.1.2. შეიმუშავოს და დაამტკიცოს ახალგაზრდულ საბჭოში წევრად მიღების წესები, კრიტერიუმები, პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

6.1.3. განსაზღვროს დირექტივები ა(ა)იპ-ისთვის, ამასთანავე დაამტკიცოს სხვადასხვა პროექტი/გეგმა/სტრატეგია, რათა წარმართოს ა(ა)იპ-ის აქტივობები ა(ა)იპ-ის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

6.1.4. განიხილოს დირექტორის მიერ წარდგენილი ა(ა)იპ-ის წლიური ფინანსური და შედეგიანობის ანგარიში.

6.1.5. შეიმუშაოს ა(ა)იპ-ის აღმასრულებელი სტრუქტურა, მათ შორის დირექტორის და აღმასრულებელი რგოლის სხვა პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სამუშაოს მოცულობა (პირობები და მოთხოვნები) და წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად.

6.1.6. შეიმუშაოს ა(ა)იპ-ის დირექტორის, სხვა საშტატო პოზიციებისა და სტრუქტურული ერთეულების შექმნის წესები, პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დებულებები და წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად.

6.1.7. უხელმძღვანელოს ა(ა)იპ-ის დირექტორის შესაბამისი წესით შერჩევას და შერჩეული კანდიდატი/კანდიდატები წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს განსახილველად და დასამტკიცებლად.

6.1.8. კონკურსის წესით დირექტორის პოზიციაზე შერჩევისას პრეტენდენტის არარსებობის შემთხვევაში, ახალგაზრდული საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, ვაკანტურ პოზიციაზე დანიშნოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ რეკომენდებული კადრი, რომელიც აკმაყოფილებს დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების 90%-ს.

6.1.9. ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელ პოზიციებზე კონკურსის წესით თანამშრომელთა აყვანას და მათ საქმიანობას.

6.1.10. ა(ა)იპ-ის დირექტორთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ა(ა)იპ-ის ეთიკის კოდექსი.

6.1.11. დაამტკიცოს ა(ა)იპ-ის შიდა განაწესი.

6.1.12. მოახდინოს საკუთარი უფლებამოსილებების მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირება მუნიციპალიტეტის მერზე.

6.2. ა(ა)იპ-ის ახალგაზრდულ საბჭოში 7 (შვიდი) წევრია. საბჭოს წევრების დაკომპლექტება განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

6.2.1. ახალგაზრდულ საბჭოში გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით საბჭოს შემადგენლობაში აუცილებელია იყოს სულ მცირე 3 (სამი) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

6.2.2. ახალგაზრდულ საბჭოში თაობათაშორისი კომუნიკაციისა და მრავალფეროვნებისთვის საბჭოს შემადგენლობაში არჩევისას შვიდიდან 2 (ორი) წევრი აუცილებელია იყოს 25 წლის ან უმცროსი, 2 (ორი) წევრი აუცილებელია იყოს 35 წლის ან უმცროსი, ხოლო დარჩენილი 3 (სამი) წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის.

6.2.3. ახალგაზრდული საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ა(ა)იპ-ის წევრი საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი.

6.3. ახალგაზრდულ საბჭოში ყველა წევრს გააჩნია თითო თანაბარი ხმა.

6.4. ახალგაზრდული საბჭო უნდა შეიკრიბოს სულ მცირე წელიწადში ორჯერ შემდგომში საჭიროების მიხედვით.

6.5. ახალგაზრდული საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ ა(ა)იპ-ის თითოეულ წევრს უნდა ეცნობოს წერილობით საბჭოს სხდომის თარიღამდე ერთი კვირით ადრე მაინც. წერილობით შეტყობინებად ჩაითვლება ასევე ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება სხდომის მოწვევის შესახებ.

6.6. ახალგაზრდული საბჭოს სხდომები უნდა იყოს საჯარო.

6.7. ახალგაზრდული საბჭო უფლებამოსილია და კვორუმი მიღწეულია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი (51%). ახალგაზრდული საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დღის წესრიგიდან

გამომდინარე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით (51%), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც წინამდებარე წესდებით სხვაგვარად არის გათვალისწინებული.

6.8. ამ წესდების „6.1.1“, და „11.7“ პუნქტებში აღწერილ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ახალგაზრდული საბჭოს სხდომის წევრების 70 % -ის დადებითი ხმა იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს წევრების უმრავლესობა მხარს უჭერს გადაწყვეტილებას.

6.9 ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭოს წევრები პირველი ვადით არიან:

- ლევან ქობალია, პნ. 30901010449
- ანა ჩართოლანი, პნ. 30001009472
- ნინო უშხვანი, პნ. 30001010167
- ეკატერინე ფალიანი, პნ. 65008001071
- მარიამ გვარლიანი, პნ. 30001009342
- თეონა გოშთელიანი, პნ. 30001009342
- ლაშა ჯაფარიძე, პნ. 30001005712

მუხლი 7

მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება

7.1. ა(ა)იპ-ის ზედამხედველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

7.2 მუნიციპალიტეტის მერი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებებს იღებს ა(ა)იპ-ის დაფუძნების, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

7.3. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია:

7.3.1. შეიმუშავოს ახალგაზრდული საბჭოს მიერ დადგენილი წესით წარმოდგენილი ა(ა)იპ-ის აღმასრულებელი სტრუქტურა, საშტატო პოზიციები, დირექტორის კანდიდატურა/კანდიდატურები, შეარჩიოს და დაამტკიცოს ა(ა)იპ-ის დირექტორი.

7.3.2. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დაამტკიცოს ახალგაზრდული საბჭოს მიერ წარდგენილი ბიუჯეტის წლიური პროექტი, მათ შორის სახელფასო ფონდი.

7.3.3. მიიღოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ-ისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ა(ა)იპ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ.

7.3.4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების გასხვისებასთან/ვალდებულებით დატვირთვასთან დაკავშირებით.

7.3.5. დაამტკიცოს ა(ა)იპ-ის მიერ შემუშავებული ახალგაზრდული სტრატეგია და წლიური სამოქმედო გეგმები.

7.3.6. ჩაიბაროს ა(ა)იპ-ის წლიური ფინანსური და შედეგიანობის ანგარიში და წარუდგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსაწონებლად.

7.3.7. გეგმების ცვლილებების და ახალი რეალობების წარმოშობისას განახორციელოს კორექტირებული გეგმებისა და ბიუჯეტის დამტკიცება საკრებულოს თანხმობით.

7.3.8. მიიღოს ინიციატივა წინამდებარე წესდების ცვლილებების შესახებ ახალგაზრდული საბჭოსგან და შეიტანოს ცვლილებები.

7.3.9. ნებისმიერ დროს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მოიწვიოს ახალგაზრდული საბჭოს სხდომა.

7.3.10. მიიღოს გადაწყვეტილებები ა(ა)იპ-ის საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

7.3.11. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაათავისუფლოს ა(ა)იპ-ის დირექტორი, თუ უკანასკნელი ვერ ართმევს თავს დასახული მიზნების განხორციელებას.

მუხლი 8

ა(ა)იპ-ის დირექტორის უფლებამოსილება და ვალდებულება

8.1. ა(ა)იპ-ის საქმიანობა ხორციელდება ა(ა)იპ-ის დირექტორის მიერ, მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით.

8.2. დირექტორი უნდა იყოს სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი შეარჩევს ახალგაზრდული საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

8.3. დირექტორი უნდა შეირჩეს კონკურსის წესით და ხელშეკრულება უნდა დაიდოს მინიმუმ ორი (2) წლის ვადით. იმ შემთხვევაში თუ კონკურსის საფუძველზე ვერ მოხდება ვაკანტური პოზიციის შევსება დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნება პირი, რომელიც აკმაყოფილებს წესდების „6.1.8.“ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8.4. დირექტორი უფლებამოსილია:

8.4.1. იყოს ა(ა)იპ-ის წევრი.

8.4.2. წარმოაჩინოს ა(ა)იპ-ი მესამე პირებთან.

8.4.3. შეიმუშაოს ა(ა)იპ-ის წლიური ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს მერს.

8.4.4. შეასრულოს ა(ა)იპ-ის ოფიციალური სპიკერის როლი მედიასთან, სამთავრობო ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, უცხოურ დონორ ორგანიზაციებთან, მრავალმხრივ ინსტიტუტებთან, ინტერესთა ჯგუფებთან, ფიზიკურ პირებთან და სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციასთან ურთიერთობებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

8.4.5. მოიპოვოს და განახორციელოს საგრანტო პროექტები მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარებისთვის და ა(ა)იპ-ის მიზნების მისაღწევად.

8.4.6. ა(ა)იპ-ს წარუდგინოს ახალი შესაძლებლობები მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარებისთვის.

8.4.7. ა(ა)იპ-ის სახელით დადოს ხელშეკრულებები, საგრანტო შეთანხმებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გასცეს მინდობილობები, შეიძინოს და განკარგოს ა(ა)იპ-ის მოძრავი ქონება მერთან შეთანხმებით.

8.4.8. გახსნას და დახუროს ა(ა)იპ-ის ეროვნული და უცხოური საბანკო ანგარიშები სხვადასხვა ვალუტაში, ხელი მოაწეროს ფინანსურ და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს მერთან შეთანხმებით.

8.4.9. განკარგოს ა(ა)იპ-ის უძრავი და მოძრავი ქონება, დატვირთოს იპოთეკით, გასცეს იჯარით ან გაასხვისოს იგი მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით.

8.4.10. მიიღოს გადაწყვეტილებები კრედიტების და გრანტების აღების შესახებ, ა(ა)იპ-ის მრავალწლიანი სტრატეგიისა და წლიური გეგმების პროექტის (გეგმის) ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

8.4.11. სამოქალაქო კოდექსის, შრომის კოდექსის, ა(ა)იპ-ის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე დანიშნოს და გაათავისუფლოს ა(ა)იპ-ის თანამშრომლები და სხვა პერსონალი ახალგაზრდულ საბჭოსთან კოორდინირებითა და მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით.

8.4.12. წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ-ის ახალი წევრების კანდიდატები ახალგაზრდული საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

8.4.13. წარმართოს პროექტები და ნებისმიერი აქტივობა, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით და ემსახურება ა(ა)იპ-ის მიზნებს.

8.5. დირექტორი ვალდებულია:

8.5.1 უხელმძღვანელოს ორგანიზაციულ მენეჯმენტს, პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო, ადგილობრივ და საჯარო ურთიერთობების წარმოებას.

8.5.2 უზრუნველყოს ა(ა)იპ-ის საოპერაციო მართვა და ა(ა)იპ-ის ფუნქციონირებისთვის საჭირო პროცესების ხელმძღვანელობა.

8.5.3. უზრუნველყოს ღირსეული თანამშრომლობა ა(ა)იპ-ის არსებულ და პოტენციურ პარტნიორებთან.

8.5.4. სისტემატურად მიაწოდოს სასურველი ინფორმაცია მომხმარებლებს/დაინტერესებულ პირებს, როგორც ა(ა)იპ-ის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

8.5.5. ზედამხედველობა გაუწიოს ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს. აქცენტი გააკეთოს თანამშშრომელთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რაც დაეხმარება მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სფეროს განვითარებას.

8.5.6. შეაგროვოს, შეინახოს და გააანალიზოს მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ სფეროსთან დაკავშირებულ მონაცემები. შექმნას ინფორმაციული ბაზა, მასალები გამოიყენოს სტრატეგიული გეგმების ჩამოყალიბებისა და აღსრულებისას.

8.5.7 ორგანიზება გაუწიოს ახალგაზრდული საბჭოს შეხვედრის ჩატარებას მუნიციპალიტეტის მერის მითითებების მიხედვით და დაეხმაროს მერს შეხვედრის წარმართვაში.

8.5.8 უზრუნველყოს ახალგაზრდული საბჭოსა და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების დროული შესრულება.

8.5.9 მოამზადოს ა(ა)იპ-ის შიდა განაწესი.

8.5.10. მოახდინოს ა(ა)იპ-ის მიზნების მიღწევისთვის ყველა შესაბამისი აქტივობის განხორციელება, რომელიც ესადაგება ამ წესდებას.

8.6 ა(ა)იპ-ის დირექტორი პირველი ვადით (2 წლით) არის ირაკლი მიქიანი (პირადი #: 62002005995; მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, 1-ელი კვარტალი, მე-12 კორპუსი, ბინა 60).

მუხლი 9

ა(ა)იპ „მმათ"-ის სტრუქტურა

ახალგაზრდული საბჭო უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს ა(ა)იპ-ის აღმასრულებელი სტრუქტურა: შექმნას პოზიციები, განყოფილებები ან სპეციალური სამუშაო ჯგუფები ა(ა)იპ-ის განვითარებისთვის კონკრეტული პროექტების და დავალებების განსახორციელებლად და მიმართულებების ასათვისებლად. ასეთი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლების კომპეტენციები და ფუნქციონირების წესები უნდა მომზადდეს ახალგაზრდული საბჭოს მიერ და დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

მუხლი 10

რევიზია და ანგარიშგება

10.1. დირექტორმა, ყოველწლიურად, უნდა შეადგინოს წინა წლის ფინანსური და შედეგიანობის ანგარიში და წარუდგინოს ის ახალგაზრდულ საბჭოს განსახილველად, შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში მუნიციპალიტეტის მერს.

10.2. ა(ა)იპ-ი ვალდებულია 7 (შვიდი) წლის ვადით შეინახოს ანგარიშები და პროგრამული ანგარიშები, რომლებიც შეეხება ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

10.3. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია პერიოდულად დანიშნოს შიდა მუნიციპალური ან დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი ა(ა)იპ-ში

10.4. დირექტორი უზრუნველყოფს, რომ ა(ა)იპ-ის სააღრიცხვო დოკუმენტაცია იყოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და საერთაშორისოდ აღიარებულ წესებთან და პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 11

ა(ა)იპ „მმათ"-ის ქონება და საწევრო გადასახადი

11.1. ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია ფლობდეს როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებას, გარდა ქონებისა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია.

11.2. ა(ა)იპ-ის შემოსავლები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

11.2.1. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები.

11.2.2. შემოწირულებები,

11.2.3. სუბსიდიები.

11.2.4. საწევრო გადასახადები.

11.2.5. როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო გრანტების, სპონსორების, მესამე მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მოპოვებული თანხები; იქნება ეს მთავრობებიდან, თვითმმართველობებიდან, კერძო ბიზნესიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ფონდებიდან, მრავალმხრივი უწყებებიდან, კერძო პირებიდან თუ სხვა სამართლებრივად ჩამოყალიბებული ერთეულიდან შემოსული თანხები..

11.2.6. კომერციული საქმიანობებიდან მიღებული თანხები, როგორიცაა პროდუქტებისა და მომსახურებების გაყიდვა მესამე პირებზე/უცხოელ ვიზიტორებზე.

11.2.7. თანხები მოპოვებული სხვა წყაროებიდან, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან.

11.3. ა(ა)იპ-ის მოგება/შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ ა(ა)იპ-ის მიზნების განხორციელებას. აღნიშნული მოგება არ უნდა განაწილდეს ა(ა)იპ-ის წევრებს შორის.

11.4. ა(ა)იპ-დან გარიცხვის ან მისი ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში, წევრებს მათ მიერ განხორციელებული შენატანები/შემოწირულებები, უკან არ უბრუნდებათ და ასევე არ დაუკმაყოფილდებათ მათი კომპენსაციის მოთხოვნები.

11.5. ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის შემთხვევაში, კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ, ა(ა)იპ-ის დარჩენილი ქონება უნდა მოხმარდეს ა(ა)იპ-ის მიზნების განხორციელებას.

11.6. ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია გასცეს და მიიღოს გრანტები თავისი მიზნების განხორციელებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

11.7. ყოველწლიურად საწევრო გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გრაფიკის და ოდენობების ჩამოყალიბება ახალგაზრდული საბჭოს პრეროგატივაა. გრაფიკი წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად. წლიური გრაფიკით დადგენილი საწევროს ოდენობა ვრცელდება ა(ა)იპ-ის ყველა წევრზე. წევრებს, რომლებიც არ გადაიხდიან წევრობის საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ახალგაზრდული საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა ჩამოერთვათ ან შეუჩერდეთ წევრის სტატუსი.

მუხლი 12

ა(ა)იპ „მმათ“-ის ეკონომიკური საქმიანობა

12.1. ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი/დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა.

12.2. ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია დააფუძნოს კომპანიები საქართველოს „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად საკუთარი ქონებით ან მის გარეშე.

12.3. მოგება, რომელსაც ა(ა)იპ-ი ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღებს არ უნდა განაწილდეს მის წევრებს შორის.

12.4. მოგება, მიღებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, უნდა მოხმარდეს ა(ა)იპ-ის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 13

ა(ა)იპ „მმათ“-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. ა(ა)იპ-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესების, პროცედურების და მოთხოვნების შესაბამისად. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს მუნიციპალიტეტის მერი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

13.2. ა(ა)იპ-ის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს შემდეგ შემთხვევებში:

13.2.1. ა(ა)იპ-ის გაკოტრებისას ან წესდებით დასახული მიზნების განხორციელების შეუძლებლობისას.

13.2.2. იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ-ი ძირითადად დაიწყებს სამეწარმეო საქმიანობას და ვერ ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ საქმიანობას.

13.2.3. მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი გადაწყვეტილებისას.

13.2.4. თუკი ა(ა)იპ-ის ყველა მიზანი განხორციელდება.

13.2.5. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

13.3. ლიკვიდაციას ახორციელებს ა(ა)იპ-ის დირექტორი ან სხვა ორგანო. ლიკვიდაციის განხორციელების დავალებას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი.

13.4. ლიკვიდაციის პროცესში წყდება ყველა მიმდინარე ოპერაცია, განისაზღვრება შესაძლო მოთხოვნები, ხორციელდება ქონების რეალიზაცია და კმაყოფილდება კრედიტორთა მოთხოვნები. ა(ა)იპ-ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ა(ა)იპ-ის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ა(ა)იპ-ი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

13.5. დამფუძნებელ წევრებს არ აქვთ უფლებამოსილება მიიღონ დარჩენილი ქონება; ასეთი ქონება გადაეცემა შემდეგ ორგანიზაციებს:

13.5.1. რეგიონში მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებს.

13.5.2. საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

13.5.3. საქართველოს სახელმწიფოს.

13.5.4. ან ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციამდე ხმარდება ა(ა)იპ-ის მიზნებს.

13.6. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ განთავსდება ოფიციალურ პრესაში და ქონება განაწილდება პრესაში განთავსებიდან კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 14

ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესდებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით და ახალგაზრდულ საბჭოსთან შეთანხმებით, იმის გათვალისწინებით, რომ მისი შემდგომი აღსრულება განხორციელდება კანონით დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 15

დავების გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია ა(ა)იპ-თან, არსებობს მის წევრებს შორის ან ა(ა)იპ-სა და მესამე პირებს შორის გადაწყდება ახალგაზრდული საბჭოს ან მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს ზოგადი იურისდიქციის მქონე კომპეტენტური სასამართლოების მიერ.

მუხლი 16

დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე.

16.2 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება გახდება ბათილი ან აღუსრულებადი, იგი გავლენას არ იქონიებს წინამდებარე წესდების ან მისი დანარჩენი დებულებების კანონიერებაზე/აღსრულებადობაზე. ბათილი/აღუსრულებადი დებულებები ჩანაცვლებულ იქნება სხვა მსგავსი შინაარსის მქონე დებულებებით, რაც ა(ა)იპ-ს მისცემს საშუალებას მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

16.3 წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე.

დამფუძნებელი:

- სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი - კაპიტონ ჟორჟოლიანი

MESTIA MUNICIPALITY

Digitally signed by MESTIA MUNICIPALITY
Date: 2022.11.15 12:41:36 +04'00'